

**შპს "არსი"-ს
ფინანსური ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ს/კ 215112580

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

- 1 კომპანია და მისი საქმიანობა
- 2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი
- 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა
- 4 ძირითადი საშუალებები
- 5 არამატერიალური აქტივები
- 6 სასაქონლო მატერიალური მარაგები
- 7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
- 8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
- 9 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება
- 10 შემოსავალი
- 11 გაწეული მომსახურების თვითღირებულება
- 12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
- 13 ფინანსური შემოსავალი (ხარჯი) (ნეტო)
- 14 ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ
- 15 დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება
- 16 ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

შპს "არსი" (215112580)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათ. ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	986	1 036
არამატერიალური აქტივები	5	1	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		987	1 037
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1	8
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7	13	52
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8		1
სულ მოკლევადიანი აქტივები		14	61
სულ აქტივები		1 001	1 098
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
დამფუძნებლების კაპიტალი		289	289
გაუნაწილებელი მოგება		677	757
სულ საკუთარი კაპიტალი		966	1 046
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	35	52
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		35	52
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1 001	1 098

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 სექტემბერი

ხელმოწერა:

ბ-ნი ალექსანდრე წულაია, დირექტორი



შპს "არსი" (215112580)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათ. ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისათვის	31.12.2021 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	1 002	715
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(429)	(242)
საერთო მოგება		573	473
სხვა შემოსავალი			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(404)	(494)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	13		(1)
სხვა მოგება/ზარალი			
მიმდინარე წლის მოგება		169	(22)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
დამტკიცებული და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 სექტემბერი

ხელმოწერა:

ბ-ნი ალექსანდრე წულაია, დირექტორი



შპს "არსი" (215112580)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათ. ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	1 111	784
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი	(839)	(641)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	272	143
გადახდილი პროცენტი		
მიღებული პროცენტი		
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	272	143
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-	-
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(202)	(56)
გადახდილი გადასახადები	(71)	(90)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(273)	(146)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	(1)	(3)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1	4
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	-	1

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 სექტემბერი

ხელმოწერა:

ბ-ნი ალექსანდრე წულაია, დირექტორი



შპს "არსი" (215112580)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათ. ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	289	866	1 155
2021 წლის სრული შემოსავალი	-	(22)	(22)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(59)	(59)
სხვა გამოყენება	-	(28)	(28)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	289	757	1 046
2022 წლის სრული შემოსავალი	-	169	169
გამოცხადებული დივიდენდი		(212)	(212)
სხვა გამოყენება		(37)	(37)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	289	677	966

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 სექტემბერი

ხელმოწერა:

ბ-ნი ალექსანდრე წულაია,
დირექტორი



ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა

- 1.1 შპს „არსი“ (კომპანია) დაარსდა 2001საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 215112580. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ხობი, პატარა ფოთი. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატვირთო საგზაო ტრანსპორტით საკონტეინერო გადაზიდვის შესრულება.
- 1.2 2022 წლის 1 იანვრისათვის და 31 დეკემბრისათვის კომპანიის წილის მფლობელებს წარმოადგენდნენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები: ალექსანდრე წულაია, 3/5 42001006741, 45% და ანა ლეკვეიშვილი, 3/5 61001068482, 55%

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

- 2.1 წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

3 სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

3.1 წარდგენის ვალუტა

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათ. ლარში („ათ. ლარი“), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

წარდგენის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ეს არის საქართველოს ეროვნული ვალუტა („ქართული ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვა-ო-ბე-ბით განპირობებული შემოსულობა ან ზა-რა-ლი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 1 იანვარი	3.0976	3,5040
2022 წლის 31 დეკემბერი	2,7020	2,8844

3.2 შემოსავლის აღიარება

საქონლის/მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდების და უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით. ამონაგები არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ დამატებული ღირებულების გადასახადს.

3.3 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენილია ხარჯების სახით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ამონაგების ფორმირებასთან.

3.4 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

კომპანიას სესხით არ უსარგებლია.

3.5 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად ყოველთვიურად გაანგარიშებული მოგების გადასახადით დასაბეგრი განაცემებზე დარიცხული მოგების გადასახადის თანხების ჯამისგან.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელის უმრავლესობას, მათ შორის ჯგუფიც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, კომპანია არ აღრიცხავს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებების ერთეულების თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივის თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება აღმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობა ნაგებობები სასარგებლო მომსახურების ვადა 30-40 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 10-15 წელი

ავეჯი და ინვენტარი 5-8 წელი

კომპიუტერული ტექნიკა 4-8 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 10 წლის გაანგარიშებით.

3.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

3.9 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები, რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და, ასევე, ის აქტივები, რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის, არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველწლიურ ტესტირებას. ეს აქტივები, რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას, ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ, როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს, რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე, რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შერტუნების გაუქმების მიზნით.

3.10 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

3.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი ამოღებად ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

3.12 სავაჭრო ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

3.13 იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელი გადაეცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახადებების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

ფინანსური იჯარის შემთხვევაში ყოველი საიჯარო გადასახდელის განაწილება ხდება საიჯარო ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯის (პროცენტი) დარიცხვა მოგება ზარალის ანგარიშგებაში ხდება იმდენად რომ გამოყენებული იყოს მუდმივი განაკვეთი საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ბალანსთან მიმართებაში. იჯარის ფარგლებში მიღებული ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხორციელდება საიჯარო ვადისა და აქტივის ცხოვრების ხანგრძლივობის შორის უმცირესი ვადის მიხედვით.

3.14 დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შევსება და ავადმყოფობის გამო შევსებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დარიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ ზომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

3.15 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად. კომპანიის მიერ ურთიერთგადაფარვა გამოყენებულია მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნა-ვალდებულებების გადასაფარავად.

3.16 ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ.

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონიერულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გათვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

უიმედო ვალდების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. კომპანიაში არ დამდგარა იმის აუცილებლობა, რომ გამოყენებულიყო სავაჭრო დებიტორების გაუფასურება და შესაბამისად საეჭვო ვალდების რეზერვების დარიცხვა.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

3.17 კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს შპს-ს კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას.

დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

3.18 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები, ინვენტარი და ინსტრუმენტები	სულ
ისტორიული ღირებულება				
2020 წლის 31 დეკემბრის	58	959	1224	2241
შეძენა/გასვლა			-104	-104
2021 წლის 31 დეკემბრის	58	959	1120	2137
შეძენა/გასვლა			-7	-7
2022 წლის 31 დეკემბრის	58	959	1113	2130
ცვეთა:				
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		211	931	1 142
პერიოდის ცვეთა		42 -	83 -	41
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		253	848	1 101
პერიოდის ცვეთა		43		43
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		296	848	1 144
წმინდა საბალანსო ღირებულება:				
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	58	748	293	1 099
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	58	706	272	1 036
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	58	663	265	986

შენიშვნა: ქონება სესხის ან მსგავსი სახის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული არ არის.

5. არამატერიალური აქტივები

	პროგრამა "ორისი"	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	1
პერიოდის ცვეთა	0	0
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	1

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საწვავი	1	8
ჯამი	1	8

სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული სასაქონლო მატერიალური მარაგების, კერძოდ საწვავ საცხები მასალებისა და სათადარიგო მასალების თვითღირებულებამ შეადგინა 2022 წელს 378,8 ათ. ლარი და 2021 წელს 242,5 ათ. ლარი.

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	13	52
გადახდილი ავანსები		
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ	-	
სულ	13	52

კომპანიაში იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნები არ წარმოადგენს ხანდაზმულს, არამედ მიმდინარეა, არ დამდგარა იმის აუცილებლობა, რომ გამოყენებულიყო სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება და შესაბამისად უიმედო ვალების რეზერვების დარიცხვა.

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში		1
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში		
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	0	1

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	9	33
ვალდებულება დაკავშირებული მხარეების წინაშე	0	0
გადასახდელი ხელფასები	21	16
საგადასახადო ვალდებულება	5	3
მიღებული ავანსები	0	0
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	35	52

10. შემოსავალი

	2022 წელი	2021 წელი
ტვირთის გადაზიდვის მომსახურება	750	715
აქტივების რეალიზაციიდან ნამეტი შემოსავალი	252	
სულ შემოსავალი	1 002	715

11. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2022 წელი	2021 წელი
მეწარმე მძღოლების მომსახურების ხარჯი	52	49
საწვავისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯი	377	193
სხვა მომსახურება		
სულ შემენილი მომსახურების ხარჯები	429	242

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
შრომის ანაზღაურება	302	290
კომუნალური ხარჯები	4	6
ა/მ შეკეთების მომსახურების ხარჯი	28	94
ქონების საგადასახადო ხარჯი	11	11
მიწის საგადასახადო ხარჯი	5	17
დაზღვევის ხარჯი		10
ელ ენერგიის ხარჯი	7	6
ცვტა და ამორტიზაცია	43	43
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	4	17
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	404	494

13. ფინანსური შემოსავალი (ხარჯი) (ნეტო)

	2022 წელი	2021 წელი
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	-	(1)
საპროცენტო შემოსავალი	-	
სულ ნეტო ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	-	(1)

14. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებელთან, დირექტორებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	მენეჯმენტი
დებიტორილი დავალიანება	11	-
კრედიტორული დავალიანება	-	-
შემოსავალი	742	-
შესყიდვები	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	212
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	-	30

2021 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებელთან, დირექტორებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	მენეჯმენტი
დებიტორილი დავალიანება	48	-
კრედიტორული დავალიანება	-	-
შემოსავალი	711	-
შესყიდვები	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	59
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	-	47

15. დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება

კომპანიის ძირითადი შემოსავალი შედგება ტვირთების საკონტეინერო გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლისაგან. მილიანი გაწეული მომსახურებიდან 2021 წელს მიღებული შემოსავლის 76 % და 2021 წელს 99% მიღებულია საქართველოში რეგისტრირებული ერთი კომპანიისგან.

16. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 11 სექტემბერს. 2023 წლის მარტ-ივნისში კომპანიამ გაანაწილა დივიდენდი წილის მფლობელებზე 102 ათ. ლარის ოდენობით. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ. ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.